საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

23/12/2016 N 123/ო

სახელმწიფო შესყიდვების ერთობლივად განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1^1 პუნქტისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო) და სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განახორციელონ ამ ბრძანების N1 დანართით განსაზღვრული მომსახურებების ერთობლივი შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით;

2. სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაევალოს, კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ბრძანების N1 დანართით განსაზღვრული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვების ერთობლივად განხორციელების მიზნით, გამოაცხადოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერები და უზრუნველყოს აღნიშნულ ტენდერებთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, ამავე დანართებით დადგენილი პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

3. აღნიშნული ტენდერების ფარგლებში მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების პირობები და შესყიდვის ობიექტის მიწოდების წესი განისაზღვროს N1 დანართით შესაბამისად;

4. სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს დაევალოს აღნიშნული ბრძანების გაცნობა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის;

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს მინისტრის მოადგილემ კახაბერ გულედანმა.

ზურაბ ალავიძე



მინისტრი